საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

შპს „სო-01"-ის (ს/კ444959966)
დირექტორის ნანა მინაძის

სკრინინგის განცხადება

წარმოგიდგენთ, ქ. ქუთაისის ავტომშენებლის ქ. N58-ში (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 03.01.21.115) განთავსებული **შპს „სო-01"-ის** (ს/კ444959966) ქვის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიშს.

ქვის (ტემენიტის) სახერხი საწარმო მითითებულ ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 2007 წლიდან და საწარმო ეკუთვნოდა კომპანია შპს„სსსი"-ს. 2017 წლიდან საწარმომ დაგეგმა ქვის გადამამუშავებელ საწარმოში სველი წესით ქვის დამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი გამოუყენებელი ფორმის ქვების მშრალი წესით დამსხვრევა, რისთვისაც ქვის სველი მეთოდით სახერიხი საწარმოო შენობის გვერდით მოაწყო (СМД-107 მოდელის ყბებიანი) სამსხვრევი დანადგარი (GPS კოორდ: X-302595, Y-4681227). დაგეგმილი საქმიანობა გარკვეული პრობლემების გამო ვერ განხორციელდა. საწარმო 2021 წლის 2 აპრილს საკუთრებაში გადაეცა ახალა მფლობელს შპს „სო-01"-ს, რომელსაც დაგეგემილი აქვს სამსხვრევი საწარმოს ამოქმედება /ექსპლუატაცია და ქვის სველი წესით ხერხვის შედეგად წარმოქმნილი - ქვის ნატეხის მსხვრევა და სხვა და სხვა ფრაქციის ღორღის წარმოება, რეალიზაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისიწნებით რომ საქმიანობის განმახორციელებელი ობიექტის მიერ განხორციელებული საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას (ქვის დამტვრევა). საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის"-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,
ნანა მინაძე 14.04.2023 წელი

ნ. მინაძე

გარემოს ეროვნული სააგენტო
„18" 04 2023
№ 3247